მსოფლიო პრაქტიკა

სიახლეები

გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს განახლებული განცხადება კომპანია 23andMe-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის თაობაზე

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება, კომერციული საიდუმლოების არსებობის მიუხედავად, მონაცემთა წვდომის უფლების უზრუნველყოფის შესახებ

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ბათილობის თაობაზე

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ კომპანიის ("Studio Riabilitazione Creditizia srls") მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება შეისწავლა და ის ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" მრავლობითი დარღვევისთვის დააჯარიმა.

აპრილი 2025

საზედამხედველო ორგანოს მიერ კომპანიის შემოწმების საფუძველი ბანკისაგან მიღებული შეტყობინება გახდა, რომლის თანახმად, კომპანიის იურიდიულმა წარმომადგენელმა ბანკისაგან სათანადო უფლებამოსილების გარეშე, არაერთხელ გამოითხოვა სხვადასხვა ფიზიკური პირის შესახებ ფინანსური მონაცემები, რაც ბანკის მოსაზრებით, მათი არამიზნობრივი გამოყენების რისკს ქმნიდა.

- კომპანიის საკრედიტო საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნეს-მოდელი:

კომპანია მომხმარებლებს საკრედიტო „შავი სიიდან“ ამოშლის მომსახურებას სთავაზობდა. მომხმარებლები კომპანიის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ინტერნეტით იღებდნენ და კომუნიკაციას ტელეფონისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ამყარებდნენ. კომპანია აგროვებდა და ინახავდა მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია და ფინანსური მონაცემები. აღნუშნულ მონაცემებზე დაყრდნობით კი საკრედიტო ინფორმაციის ბიუროებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში სხვადასხვა მოთხოვნას აგზავნიდა.

- საზედამხედველო ორგანოს ძირითადი მიგნებები გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებით:

საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ კომპანია მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ მონაცემებს მათი თანხმობის გარეშე აგროვებდა, აგრეთვე, მონაცემთა დამუშავებაში ჩართულ მესამე პირებთან დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ გაუფორმებია შესაბამისი ხელშეკრულებები. ამასთან, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევებიც („ინციდენტი“), კერძოდ:

- მონაცემთა მონაცემთა სუბიექტის მფლობელობაში სხვადასხვა პერიოდში არსებული, სხვადასხვა კომპანიის შესახებ მონაცემების ერთ სივრცეში შენახვა და მათი წაშლის ვადის დაუდგენლობა;
- ფიზიკური დოკუმენტაციის შენახვა ოფისის კაბინეტებში და საწყობში, წაშლის ან განადგურების მონაცემთა დაცვის შესაბამისი პილიტიკის გარეშე;
- დადგინდა, რომ კომპანიას დანიშნული ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მაგრამ მისი დანიშვნის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს არ წარუდგინა;
- გარდა ზემოაღნიშნული დარღვევებისა,კომპანიამ პასუხი დროულად არ გასცა და სათანადოდ არ ითანამშრომლა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან.

- მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილების საკითხი ¾ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 37-ე და 38-ე მუხლების დარღვევა:
-

საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ კომპანიამ მონაცემთა დაცვის ოფიცრად საკუთარი იურიდიული წარმომადგენელი დანიშნა. წინამდებარე პირის მონაცემთა დაცვის ოფიცრად დანიშვნის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა კომპანიის ვებგვერდზე. ამის შესახებ ინფორმაცია ასევე მიეწოდათ კომპანიის მომხმარებლებს, თუმცა არ ეცნობა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

ძირითადი რეგულაციის პრეამბულის 97-ე მუხლის თანახმად, მონაცემთა დაცვის ოფიცერი მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, განუსაზღვრელად მისი დამსაქმებლის ვინაობისა. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საზედამხედველო ორგანომ კანონდარღვევად შეაფასა კომპანიის იურიდიული წარმომადგენლის მონაცემთა დაცვის ოფიცრად დანიშვნის ფაქტი. შეუძლებელია ერთმა პირმა განსაზღვროს მონაცემთა დამუშავების მიზნები და საშუალებები, და ამავდროულად დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მაღალი ხარისხის დაცვით, განახორციელოს ზედამხედველობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან დამუშავების პროცესების შესაბამისობაზე. ამასთან, რეგულაციის 38-ე მუხლი განმარტავს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებას, დარწმუნდეს, რომ ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის ოფიცრი არ იღებს იმგვარ მითითებებს, რომლებიც ხელყოფენ მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დაცვის ოფიცრად დანიშნული პირის მიმართ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი ან სხვა მიზეზი, რაც შეუთავსებელს ხდის ამ პირის მიერ ოფიცრის მოვალეობის შესრულებას, აღნიშნული წარმოადგენს წინამდებარე პირის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს. პირის მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობაზე დანიშვნამდე საჭიროა სათანადოდ შეფასდეს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საკითხი.

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მსჯელობის თანახმად, კომპანიის მიერ მისი იურიდიული წარმომადგენლის ოფიცრის პოზიციაზე დანიშვნის თაობაზე შეუტყობინებლობის მიზეზით, საზედამხედველო ორგანომ ვერ გამოავლინა ოფიცრის შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან.

მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნასთან დაკავშირებით კომპანიამ დაარღვია ძირითადი რეგულაციის შემდეგი მუხლები: 37(6), 37(7) და 38. კერძოდ, კომპანიამ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციაზე დანიშნა თანამდებობასთან შეუთავსებელი პირი და ოფიცრის დანიშვნის შესახებ არ აცნობა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს. კომპანიის იურიდიული წარმომადგენლის მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობასთან შეუსაბამობიდან გამომდინარე, აღნიშნული პირის ოფიცრად დანიშვნა ბათილად იქნა ცნობილი.

საქმის შესწავლისას გამოვლენილი დარღვევებისათვის, მათ შორის, მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნასთან დაკავშირებული კანონდარღვევისათვის, კომპანიას მიეცა 90 დღე დარღვევების გამოსასწორებლად და დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა 70,000 ევროს ოდენობით. კერძოდ, კომპანიას დაევალა მონაცემთა შენახვისა და წაშლის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტების შემუშავება, მონაცემთა დამუშავების საკითხზე კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშეკრულებების გაფორმება დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებთან და ახალი მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა.

გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს განახლებული განცხადება კომპანია 23andMe-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის თაობაზე

2025 წლის 25 მარტს, გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ კომპანია "23andMe"-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის თაობაზე განახლებული ინფორმაცია გამოაქვეყნა. საქმის შესწავლის საფუძველი კომპანიის მიერ საზედამხედველო ორგანოსათვის მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის („ინციდენტის") დაფიქსირების შესახებ შეტყობინება გახდა.[1] საზედამხედველო ორგანომ ინციდენტის შესახებ შესწავლა 2023 წლის ოქტომბერში, კანადის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობით დაიწყო.

გენეტიკური ტესტირების შესახებ მონაცემთა დამუშავება

"23andMe" - ბიოტექნოლოგიური კომპანიაა, რომელიც მომხმარებლებს გენეტიკურ ტესტირებასა და ინფორმაციის ანალიზს სთავაზობს. კომპანია მომხმარებელთა გენეტიკურ მონაცემებს ამუშავებს და მათი ანალიზის შემდგომ მიღებული შედეგები მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი ონლაინ პლატფორმაზე ხდება.

"23andMe" პლატფორმაზე რეგისტრირებულ პირს საშუალებას აძლევს:

- მიიღოს ინფორმაცია გენეტიკური წარმოშობის შესახებ – დაადგინოს გენეტიკური წარმომავლობა და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან კავშირი;
- ჩაიტაროს ჯანმრთელობისა და მემკვიდრეობითი დაავადებების შესახებ ანალიზი – კომპანია მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას მემკვიდრეობითი დაავადებების რისკებსა და ორგანიზმის სხვადასხვა გენეტიკური მახასიათებლის შესახებ;
- დაადგინოს გენეტიკური კავშირების არსებობა – მომხმარებელმა, შესაძლოა აღმოაჩინოს გენეტიკურად ახლო ნათესავი ან ნათესავები, რომლებიც ამ პლატფორმას იყენებენ.

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს განცხადების თანახმად, გენეტიკური ინფორმაცია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემია, და როდესაც მონაცემთა სუბიექტი კომპანიას მათ დამუშავებას ანდობს, აქვს მოლოდინი, რომ მონაცემებს განსაკუთრებული სიფრთხილით დაამუშავებენ. შესაბამისად, გენეტიკური ინფორმაციის შეგროვებისას, საჭიროა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვა და საკანონმდებლო მოთხოვნათა სათანადოდ დაცვა.

გაერთიანებული სამეფოსა და კანადის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შეისწავლეს:

- მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შედეგად გამოვლენილი ინფორმაციის მოცულობა და შესაძლო ზიანი მონაცემთა სუბიექტებისათვის;
- "23andMe"-ს მიერ განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციის დასაცავად დანერგილი მონაცემთა უსაფრთხოების ზომები;
-

- კომპანიის მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეტყობინების შესაბამისობა კანადისა და გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობებთან, მათ შორის, სათანადო ორგანოებისა და მონაცემთა სუბიექტებისათვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით.
-

საქმის შესწავლის შედეგების თაობაზე საზედამხედველო ორგანოებმა 2025 წლის მარტში “23andMe”-ს წინასწარი დასკვნები მიაწოდეს, აგრეთვე შეატყობინეს წინასწარი გადაწყვეტილება 4.59 მილიონი ფუნტის ოდენობის ჯარიმის დაკისრების შესახებ. საზედამხედველო ორგანოებმა აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და ექვემდებარება ცვლილებას კომპანიის მიერ სათანადო განმარტებისა და დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში. საზედამხედველო ორგანოთა განცხადების თანახმად, გაერთიანებული სამეფოს ძირითადი რეგულაციის მე-9 მუხლზე დაყრდნობით, ჯარიმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სხვა შესაბამის ფაქტორებთან ერთად, გაითვალისწინებენ კომპანიის გადახდისუნარიანობის საკითხსაც. საზედამხედველო ორგანოთათვის ცნობილია, რომ კომპანიამ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაკოტრების სამართლებრივი[3] პროცედურა წამოიწყო. აღნიშნული პროცედურა კომპანიებს საშუალებას აძლევს გარდაქმნის შემდგომ საქმიანობა განაგრძონ, მათ წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად კი ახალი გეგმა შეიმუშაონ.

მონაცემთა სუბიექტების ინფორმაციის დაცვის ვალდებულება
კომპანიის განცხადებით, გაერთიანებული სამეფოსა და კანადის კანონმდებლობათა შესაბამისად, გარდამავალ პერიოდში, “23andMe”-ს უნარჩუნდება პლატფორმის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება. მონაცემთა სუბიექტებს კომპანიის შესაძლო გაკოტრების ან გაყიდვის მიუხედავად, შეუნარჩუნდებათ წვდომა პლატფორმაზე და პირად ანგარიშებზე.

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება საფეხბურთო კლუბის მიერ არასრულწლოვანების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ საფეხბურთო კლუბის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საქმე შეეხებოდა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების შემცველი დიდი რაოდენობის დოკუმენტაციის სანაგვე ყუთში მოთავსებას.[1]

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:
2024 წლის 11 ოქტომბერს, ერთ-ერთმა პირმა საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებულ ნაგვის ურნაში აღმოაჩინა ყუთი, რომელშიც ასობით დოკუმენტი იყო განთავსებული. მათზე ასახული იყო: მონაცემთა სუბიექტთა საიდენტიფიკაციო ნომრები; სახელები და გვარები; მისამართები; არასრულწლოვანების ფოტოსურათები. საერთო ჯამში, 1 444 დოკუმენტი იქნა მოძიებული, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იყო პირთა იდენტიფიცირება. საფეხბურთო კლუბმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი) განაცხადა, რომ დალაგების დროს შეცდომით განათავსეს შეგროვებული დოკუმენტაცია სანაგვე ყუთში.
პირი, რომელმაც აღნიშნული დოკუმენტები იპოვა, იყო ერთ-ერთი არასრულწლოვანის მამა. საკითხის შესწავლის მიზნით, მან თავდაპირველად პოლიციას, ხოლო შემდგომ ეტაპზე ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიმართა. მიმართვის საფუძველზე, 2024 წლის 19 დეკემბერს, საზედამხედველო ორგანომ საქმის შესწავლა დაიწყო.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება:
საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ დოკუმენტებით სავსე ყუთი არ უნდა მიჩნეულიყო იმ ნივთად, რომლის განადგურებაც გარეთ განთავსებულ ნაგვის ურნაში იქნებოდა შესაძლებელი. ამასთან, არ იყო შემუშავებული პროცედურა, რის საფუძველზეც იდენტიფიცირდებოდა ის პირი, ვინც პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია ნაგავში გადააგდო.

დამატებით, საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, მიუხედავად თანამშრომლის ან მესამე პირის დაუდევრობისა, აღნიშნული საფეხბურთო კლუბს პასუხისმგებლობისგან მაინც არ ათავისუფლებდა. ამდენად, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “f” ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის შესაბამისად დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღების ვალდებულება ეკისრება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ თავდაპირველად ჯარიმის ოდენობად 1 000 ევრო განსაზღვრა, მაგრამ ესპანეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის შემცირების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი აღიარებს ვალდებულების დარღვევას და ნებაყოფლობით გადაწყვეტს ჯარიმის გადახდას. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ორივე საშუალება გამოიყენა, რის საფუძველზეც ჯარიმის ოდენობა 40%-ით შემცირდა და განისაზღვრა 600 ევრო.

გარდა ამისა, კლუბს დაევალა საზედამხედველო ორგანოსთვის ეცნობებინა, თუ რა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მიიღო პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია მონაცემთა შენახვის ვადისა და განადგურების საშუალებების შესახებ.

რუმინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება ონლაინ მაღაზია “Beko Romania SA”-ს მონაცემთა ბაზის უსაფრთხოების დარღვევის შესახებ

რუმინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ონლაინ მაღაზია “Beko Romania SA”-ს მონაცემთა ბაზის უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევა შეისწავლა.[1]

ფაქტობრივი გარემოებები:

ონლაინ მაღაზია “Beko Romania SA”-ის (შემდგომში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი) ერთ-ერთმა დასაქმებულმა (შემდგომში, განმცხადებელი ფიზიკური პირი) რუმინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 33-ე მუხლის საფუძველზე, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეატყობინა, რომლის საფუძველზეც საზედამხედველო ორგანომ დაიწყო აღნიშნული შემთხვევის შესწავლა. საქმის შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ არაუფლებამოსილმა პირმა მოიპოვა წვდომა ონლაინ მაღაზიის მონაცემთა ბაზაზე (შემდგომში, ოპერატორის ანგარიში) და მისთვის ცნობილი გახდა კომპანიის მომხმარებლების (მონაცემთა სუბიექტების) პერსონალური მონაცემები, როგორებიცაა: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია და შეძენილი პროდუქტის დასახელება.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება:

საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ მიუღია შესაბამისი ზომები მონაცემთა ბაზაზე წვდომის უფლების მქონე პირთა გადასამოწმებლად და არ ჰქონდა მექანიზმი, რომელსაც გამოიყენებდა მონაცემთა ბაზის ორგანიზაციული და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფისთვის. აღნიშნული საკითხების გათვალისწინება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 32-ე მუხლის საფუძველზე ევალებოდა. დადგინდა, რომ მას არ ჰქონდა მიღებული შესაბამისი ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის საპასუხოდ.

რუმინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების დარღვევისთვის 10 000 ევროს ოდენობით დააჯარიმა და დაავალა მონაცემთა ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომების მიღება.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge